ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 36
13/04/2018

36-04-4-201804131545

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების, სპეცავტომანქანა - **„MAN“ TGM 13.240,** სარეგისტრაციო ნომრით **QQ836DD** შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით თხოვების ფორმით გადაცემაზე.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე